საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამიწის მეგობრები – საქართველო)

გარემო და საზოგადოება

დასუფთავების აქციები

(2018 წელი, 22 მარტი და 22 აპრილი)

Clean Up Actions of Marh 22 and April 22, 2018

დედამიწის დღის დროშა

Contents

22 მარტი - წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე 5

ქ. თბილისი 6

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე 8

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 8

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ხობის მუნიციპალიტეტში 8

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ქ. ზუგდიდში 9

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე აბაშის მუნიციპალიტეტში 10

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე - მარტვილის მუნიციპალიტეტში 11

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ქალაქ ფოთში 12

იმერეთის მხარე 13

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 13

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე სამტრედიის მუნიციპალიტეტში 14

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 15

წყლის რესურსების საერთაშორისო დაცვის დღე ჭიათურის მუნიციპალიტეტში 16

შიდა ქართლი 17

წყლის რესურსების საერთაშორისო დაცვის დღე გორის მუნიციპალიტეტში 17

წყლის რესურსების საერთაშორისო დაცვის დღე ქარელის მუნიციპალიტეტში 18

მცხეთა-მთიანეთის მხარე 19

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე მცხეთის მუნიციპალიტეტში 19

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე თიანეთის მუნიციპალიტეტში 20

ქვემო ქართლი 21

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ბოლნისის მუნიციპალიტეტში 21

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში 22

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე დმანისის მუნიციპალიტეტში 23

კახეთის მხარე 24

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ქ. თელავში 24

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ყვარლის მუნიციპალიტეტში 25

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესაგარეჯოს მუნიციპალიტეტში 27

გურიის მხარე 28

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე გურიის მუნიციპალიტეტებში 28

აჭარა 29

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ბათუმში 29

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ქედის მუნიციპალიტეტში 30

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ხულოს მუნიციპალიტეტში 32

22 აპრილი-დედამიწის დღე 33

ქ. თბილისი 34

გურიის მხარე 39

დედამიწის დღე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 39

დედამიწის დღე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 39

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე 41

ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და მესტიის მუნიციპალიტეტებში 2018 წლის 22 აპრილის დასუფთავების აქციის მონაცემები 41

დედამიწის დღე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 42

დედამიწის დღე ხობის მუნიციპალიტეტში 43

დედამიწის დღე აბაშის მუნიციპალიტეტში 43

იმერეთის მხარე 44

დედამიწის დღე ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 44

დედამიწის დღე ქ. წყალტუბოში 45

შიდა ქართლის მხარე 46

დედამიწის დღე გორის მუნიციპალიტეტში 46

დედამიწის დღე ხაშურის მუნიციპალიტეტში 47

მცხეთა-მთიანეთის მხარე 47

დედამიწის დღე ქ.მცხეთაში 47

ქვემო ქართლის მხარე 49

დედამიწის დღე ბოლნისის მუნიციპალიტეტში 49

დედამიწის დღე მარნეულის მუნიციპალიტეტში 50

დედამიწის დღე დმანისის მუნიციპალიტეტში 51

დედამიწის დღე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში 52

დედამიწის დღე წალკის მუნიციპალიტეტში 53

დედამიწის დღე ქალაქ რუსთავში 54

სამცხე-ჯავახეთის მხარე 55

დედამიწის დღე ასპინძის მუნიციპალიტეტში 56

კახეთის მხარე 57

დედამიწის დღე სიღნაღის მუნიციპალიტეტში 57

დედამიწის დღე გურჯაანის მუნიციპალიტეტში 57

დედამიწის დღე ყვარლის მუნიციპალიტეტში 59

22 მარტი - წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე

წყალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დედამიწაზე ეკოსისტემების არსებობისთვის. სამწუხაროდ, მტკნარი წყლის მარაგი პლანეტაზე კატასტროფულად კლებულობს. გაეროს ექსპერტების მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის 1/6 სუფთა სასმელი წყალი არ მიეწოდება, ბევრ ქვეყანაში კი სასმელი წყალი მხოლოდ იყიდება. მსოფლიოში 2,4 მილიარდ ადამიანს არ აქვს ცხოვრებისათვის აუცილებელი შესაბამისი სანიტარული პირობები.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნის იდეა გაჩნდა 1992 წელს, რიო-დე-ჟანეიროში, გაერთიანებული ერების კონფერენციაზე. მისი აღნიშვნა კი 1993 წლის 22 მარტიდან დაიწყეს. ეს დღე შეგვახსენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სიფრთხილით, რაციონალურად და ეკონომიურად გამოვიყენოთ წყლის რესურსები. წელს 22 მარტი 25-ედ აღინიშნა. წლევანდელი თემა იყო "ბუნება და წყალი", რომელიც მიეძღვნა 21-ე საუკუნის წყლის პრობლემების დასაძლევად ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებას.

საქართველოში სულ 26060 მდინარე (მათ შორის 99,4% მცირე მდინარეა - 25 კმ-ზე ნაკლები) და 860 ტბაა (ტბების უმეტესობა ძალიან პატარაა. ყველაზე დიდია ფარავნის ტბა), ხოლო მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი მარაგი დაახლოებით 18000 მლნ. $მ^3$-ია.

დიდი ფართობი უჭირავს კოლხეთის დაბლობზე არსებულ ჭაობებს (225 000ჰა). შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე კი 315 კმ-ია.

საქართველოში ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროებია თბოენერგეტიკა, მრეწველობა და წყალმომარაგება-კანალიზაციის სექტორი, ხოლო ძირითადი დამაბინძურებელი აგენტებია აზოტის ნაერთები, მძიმე მეტალები და ნავთობპროდუქტები.

,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს" ინიციატივით, პროექტ ,,დავასუფთაოთ საქართველო-ფაზა III" ფარგლებში მიმდინარეობს კამპანიები: ,,დავასუფთაოთ საქართველო" და ,,ლურჯი ნაკადული". წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ამ კამპანიების ფარგლებში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ყველა რეგიონში, 22 მარტიდან ერთი კვირის განმავლობაში ჩატარდა დასუფთავების აქციები. აქციების მიზანი იყო ხევებისა და მდინარეების სანაპირო ზოლების დასუფთავება.

აქციებს ორგანიზება გაუწიეს ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს" ადგილობრივი კოორდინატორებმა.

აქციებში ორგანიზატორებთან ერთად მონაწილობა მიიღეს, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, გუბერნიების, მუნიციპალიტეტებისა და საკრებულოების წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა და მოხალისეებმა.

პროექტი ,,დავასუფთაოთ საქართველო-ფაზა III“ ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის – ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო“, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი ,,ორქისი“ და ,,ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“ მიერ. პროექტი ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით.

ქ. თბილისი

22 მარტს, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ ორგანიზებით, კამპანიების ,,დავასუფთაოთ საქართველო“ და ,,ლურჯი ნაკადული“-ს ფარგლებში, ჩატარდა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია.

აქციაში ორგანიზატორებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო-ფაზა III“ განმახორციელებელი ორგანიზაციების, აფხაზეთის გარემოს დაცვის სამმართველოსა და წყლის გლობალური პარტნიორობა - საქართველოს წარმომადგენლებმა, თსუ ეკომოლაშქრეთა კლუბის სტუდენტებმა. აქციის ფარგლებში დასუფთავდა დაახლოებით 1,5 ჰა ფართობის ტერიტორია, შეგროვდა 3 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი, მონაწილეობა მიიღო 40-მდე მოხალისემ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში აქციები ჩატარდა 48 სოფლის ტერიტორიულ ერთეულში „ზუგდიდდასუფთავების ცენტრთან“ თანამშრომლობით. დასუფთავდა მდინარეების, ღელეების, ნაკადულების სანაპირო ზოლები, წყალსაწრეტი არხები და ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 1160-მდე ადგილობრივმა სხვადასხვა თემიდან, შეგროვდა 95 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი, დასუფთავდა 60000 კვმ ტერიტორია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დასუფთავდა 10,2 ათასი კვ.მ ფართობი, შეგროვდა 19 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი, მონაწილეობა მიიღო 120-მა ადგილობრივმა მოხალისემ.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დასუფთავდა 25 ათასი კვ.მ ფართობი, შეგროვდა 14 $მ^3$, მონაწილეობა მიიღო 96-მა ადგილობრივმა.

მესტიის მუნიციპალიტეტში დასუფთავდა 1,1 ათასი კვ.მ ფართობი, შეგროვდა 5 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი, მონაწილეობა მიიღო 50-მდე ადგილობრივმა.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ხობის მუნიციპალიტეტში

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ქ. ზუგდიდში

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე აბაშის მუნიციპალიტეტში

22 მარტს, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აბაშის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქციები.

დასუფთავების აქციაში მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის მერი - ლევან მაკალათია, საკრებულოს თავმჯდომარე - მამუკა კვიტაშვილი და მუნიციპალიტეტის თანამშრომლები.

დასუფთავდა ქალაქის ცენტრის და რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიები, მდ. აბაშის და მდ. ნოღელას სანაპიროები, სოფ. წყემის მიმდებარე ტერიტორია, სოფლებში არსებული ღელეების ნაპირები - დაახლოებით 3 ჰა ფართობის ტერიტორია. შეგროვდა 16 $მ^3$ ნარჩენი, რომელიც გატანილი იქნა ცენტრალურ ნაგავსაყრელზე. აქციაში მონაწილეობდა დაახლოებით 850 ადგილობრივი მაცხოვრებელი.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე - მარტვილის მუნიციპალიტეტში

22 მარტს მარტვილის მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარებულ აქციაში მონაწილეობა მიიღო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და სხვა სამსახურების 50-მდე თანამშრომელმა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან დასუფთავდა მდინარე ინჩხიის სანაპირო ზოლი, დაახლოებით 1,2 ჰა ფართობი, შეგროვებულ იქნა დაახლოებით 3,5 კუბური მეტრი ნარჩენი. შეგროვილი ნარჩენების გატანა უზრუნველყო მარტვილის კეთილმოწყობის ცენტრმა.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ქალაქ ფოთში

22 მარტი, ქალაქ ფოთში დასუფთავების აქციით აღინიშნა. აქციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 100-მდე მოხალისემ. დასუფთავდა 1.5 ჰექტარი ფართობი (ზღვის სანაპირო და მდინარე რიონის მიმდებარე ტერიტორია), შეგროვდა დაახლოებით 3მ^3 მოცულობის ნარჩენი.

იმერეთის მხარე

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ზესტაფონის მუნიციპალიტეტში

24 მარტს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში კამპანიების „დავასუფთაოთ საქართველო“ და ,,ლურჯი ნაკადული“-ს ფარგლებში ჩატარდა დასუფთავების აქცია. აქციის მიზანი იყო მუნიციპალიტეტებში არსებული ხევებისა და მდინარეების სანაპირო ზოლების დასუფთავება.

დასუფთავდა ე.წ. წყალსადენის ტერიტორია, დაახლოებით 20ჰა ფართობი, შეგროვდა 1,2 $მ^3$ ნარჩენი. აქციაში მონაწილეობა მიიღეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წევრებმა, დასუფთავების სამსახურისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა. სულ 40-მა მოხალისემ.





წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე სამტრედიის მუნიციპალიტეტში

22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დასუფთავების აქციით აღინიშნა.

დასუფთავდა დაბა კულაშის წმ. ნაზარი ლეჟავას სახელობის ტაძრისა და ნაბაკევის თემში ხუნჯულაურის წყაროს მიმდებარე ტერიტორიები. აქციაში მონაწილეობა მიიღო 40-მდე ადამიანმა. შეგროვდა 2 $მ^3$ ნარჩენი, დასუფთავდა დაახლოებით 1 ჰა ფართობის ტერიტორია.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 22 მარტი, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე, დასუფთავების აქციით აღინიშნა.

დასუფთავებული იქნა ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორია და მის ირგვლივ არსებული არხები. სულ დასუფთავდა 1,5 ჰექტრამდე ტერიტორია და გატანილი იქნა 1,4 m^3 მოცულობის საყოფაცხოვრებო ნარჩენი. აქციაში მონაწილეობა მიიღო 35 კაცმა.

2018 წლის 21 მარტს კი ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქ. წყალტუბოს ტერიტორიაზე ჩატარდა ხის ნერგების დარგვის აქცია. სულ დაირგო 140 ძირი სხვადასხვა ჯიშის (კოპიტის, ნეკერჩხალისა და ნაძვის) ნერგი. აქციაში მონაწილეობა მიიღო 35 კაცმა.

წყლის რესურსების საერთაშორისო დაცვის დღე ჭიათურის მუნიციპალიტეტში

22 მარტს, ჭიათურაში წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ აქციაში მონაწილეობა მიიღეს ჭიათურის მერმა პაატა ნადირაძემ, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა. აქციის მონაწილეებმა დაასუფთავეს ჭიათურა-უსახელო-კორბოულის საავტომობილო გზის მონაკვეთი. დაახლოებით 500-600 კვ.მ ტერიტორია. აქციაში აქტიურად ჩაერთო ადგილობრივი მოსახლეობა. აქციის ფარგლებში შეგროვდა დაახლეობით 20მ^3 მოცულობის ნარჩენი, მონაწილეობა მიიღო 50-მდე მოხალისემ.

შიდა ქართლი

წყლის რესურსების საერთაშორისო დაცვის დღე გორის მუნიციპალიტეტში

22 მარტი, წყლის წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე დასუფთავების აქციით აღინიშნა გორის მუნიციპალიტეტში.

დასუფთავდა მდ. მტკვრისა და მდ. ლიახვის შესართავის მიმდებარე ტერიტორია დაახლოებით 1,2 ჰა ფართობი. აქციაში მონაწილეობა მიიღო 50-მა ადგილობრივმა მცხოვრებმა. შეგროვდა 1.7 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი.

წყლის რესურსების საერთაშორისო დაცვის დღე ქარელის მუნიციპალიტეტში

22 მარტს - წყლის წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეს, ქარელის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქცია. აქციის მიზანი იყო დასუფთავებულიყო მუნიციპალიტეტბში არსებული ხევებისა და მდინარეების სანაპირო ზოლები.

დასუფთავდა ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარე მდინარე ფციულას, ძამისა და ფრონეს მიმდებარე დაახლოებით 6 ჰა ფართობი, შეგროვდა დაახლოებით 3 ტონა მუნიციპალური ნარჩენი. დასუფთავების აქციაში მონაწილეობდა 120 ადამიანი.

მცხეთა-მთიანეთის მხარე

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე მცხეთის მუნიციპალიტეტში

22 მარტს მცხეთაში ჩატარდა დასუფთავების აქციები 22 სხვადასხვა ადგილას. აქციაში მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ბ-მა ფარნაოზ იორდანიშვილმა. დასუფთავდა 7 ჰა ფართობის ტერიტორია, შეგროვდა 6 m^3 მოცულობის ნარჩენი, მონაწილეობა მიიღო 250-მდე ახალგაზრდამ.

25 მარტს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის მხარდაჭერით ჩატარდა დასუფთავების აქცია მცხეთის თეატრონზე. დასუფთავდა არაგვის სანაპირო და მიმდებარე ტერიტორიები, სულ 10 ჰა ფართობი. აქციაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე თანამშრომელმა და (ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის'' ა(ა)იპ „მცხეთის სოფლწყალის'' თანამშრომლებმა. გატანილ იქნა 5 m^3 მოცულობის ნარჩენი.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე თიანეთის მუნიციპალიტეტში

22 მარტს თიანეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქცია. მასში მონაწილეობდნენ თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, ა(ა)იპ-ის, შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები და თიანეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები. სულ 900-ზე მეტი მოხალისე.

აქციის ფარგლებში დასუფთავდა მდ. იორის და მდ. ქუსნოს სანაპირო ზოლები, ხაწირის ტყე-პარკის ტერიტორია, კულტურისა და დასვენების პარკი, დაწესებულებების, სკოლების, ბაღების ეზოები და მათი მიმდებარე ტერიტორიები.

დასუფთავდა 15 ჰა ფართობი, შეგროვდა 25მ^3 მოცულობის ნარჩენი რომელიც თიანეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მიერ გატანილი იქნა ნაგავსაყრელზე.

ქვემო ქართლი

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ბოლნისის მუნიციპალიტეტში

22 მარტი, წყლის წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე დასუფთავების აქციით აღინიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტში. აქციის მიზანი იყო მუნიციპალიტეტებში არსებული ხევებისა და მდინარეების სანაპირო ზოლების დასუფთავება.

დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიისა და კომუნალური სამსახურის თანამშრომლებმა, სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. დასუფთავდა „მუშევანის ხეივანი“ და 9 აპრილის მემორიალის მიმდებარე დაახლოებით 1,4 ჰა ფართობის ტერიტორია. შეგროვდა 6,5 მ³ მოცულობის ნარჩენი, მონაწილეობა მიიღო 64-მა მოხალისემ. მათ შორის, 22-მა მოსწავლემ და 2-მა პედაგოგმა.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

22 მარტს, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ქალაქ თეთრიწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეების, შპს "თეთრიწყაროს დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური"-სა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების მონაწილეობით მასშტაბური დასუფთავების აქცია გაიმართა.

აქციის მიზანი იყო დასუფთავებულიყო მუნიციპალიტეტში არსებული ხევებისა და მდინარეების სანაპირო ზოლები. აქციის ფარგლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან დასუფთავდა მდინარე ჭივჭავის მიმდებარე ტერიტორია. აქციაში მონაწილეობა მიიღო 70-მა ადამიანმა, დასუფთავდა 1,5 ჰა ფართობის ტერიტორია, შეგროვდა დაახლოებით 1200 კგ საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე დმანისის მუნიციპალიტეტში

კახეთის მხარე

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ქ. თელავში

პროექტ „დავასუფთაოთ საქარველოს ფაზა III“ -ის ფარგლებში 23 მარტს, წყლის დაცვის საერთაშორისო დღესადმი მიძღვნილი კამპანია ლურჯი ნაკადულების ფარგლებში, პროექტის სამუშაო ჯგუფი იმყოფებოდა ქ. თელავში, სადაც ადგოილობრივი კოორდინატორის, ნუგზარ გაბუნიას მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში იღებდნენ მონაწილეობას.

დაათვალიერეს და შეაფასეს ქ. თელავში არსებული ბაზრის ტერიტორია (ყოფილი აბრეშუმის ქარხნის ეზო), რომელიც კერძო საკუთრებას წარმოადგენს და სანიტარულო ნორმები არაა დაცული, და არ დგას ურნები.

ჯგუფმა მოინახულა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თელავის სერვის ცენტრი, რომელიც ამარაგებს ქ. თელავს სამელი წყლით. ობიექტის სერვისცენტრის მენეჯერმა ივანე იორდანაშვილმა მიწვეულ სტუმრებს წარუდგინა სამუშაო ჯგუფი და სრულად გააცნო წყალშემკრებ აუზიდან სასმელი წყლის სისტემაში ჩაშვებამდე საინჟინრო და სამუშაო პროცედურა, ასევე სტუმრების თანდასწრებით მოხდა ობიექტის სალექარების გამწმენდი სამუშაოები. კომპანიის სამუშაო ჯგუფს ჩაუტარდა სემინარი ნარჩენების მართვის შესახებ. ასევე იგეგმებოდა მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქციისთვის, კომპანიას გადაეცა საჭირო პარკები და ხელთათმანები.
კამპანიის ფარგლებში პროექტის ჯგუფმა ასევე მოინახულა თელავის კოორდინატორის ნუგზარ გაბუნიას მიერ საკუთარ სახლში მოწყობილი „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობები- საქართველო“-ს თელავის ოფისი.



წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ყვარლის მუნიციპალიტეტში

22 მარტს, ყვარლის მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა დასუფთავების აქცია.

აქციაში მონაწილეობა მიიღეს ყვარელის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა. დასუფთავდა თელავი-ლაგოდეხის გზატკეცილის სანაპირო ზოლები, ყვარლის ტბის გზა და თელავის ქუჩა - სულ დაახლოებით 10 ჰა ფართობის ტერიტორია. აქციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 110-მა მოხალისემ. შეგროვდა 35 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი.

ყვარელი

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

22 მარტს, წყლის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დასუფთავების აქცია გამართეს. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავდა სოფელ ბადიაურისა და ივრის ხეობის მიმდებარე ტერიტორიები. დასუფთავების აქციაში მონაწილეობდნენ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი, მერის მოადგილეები ალექსი გილაშვილი და პაატა ასრათაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლელა მარიდაშვილი, ასევე - მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები.

გურიის მხარე

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე გურიის მუნიციპალიტეტებში

აჭარა

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ბათუმში

22 მარტს მე-14 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველომ და აჭარის მწვანეთა მოძრაობის წევრებმა დაასუფთავეს მდ. ჭოროხისა და შავი ზღვის შესართავი სანაპირო.

ბათუმი

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ქედის მუნიციპალიტეტში

22 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასშტაბური დასუფთავების აქცია გაიმართა.

აქციაში მოხალისეებთან ერთად, ქედის მერი ლევან გორგილაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე, შ.პ.ს ,,კომუნალურსერვისი"-ს , ა.ა.ი.პ. ,,სპორტსკოლის" და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები ჩაერთნენ.

ქედა

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე ხულოს მუნიციპალიტეტში

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა დაბის სკვერი და მიმდებარე ტერიტორია პოლიეთილენის პარკების, ბოთლებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან დაასუფთავეს.

22 აპრილი-დედამიწის დღე

დედამიწის დღე — ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც 22 აპრილს აღინიშნება. ამ დღეს მსოფლიოში იმართება გარემოს დაცვის მხარდასაჭერი ღონისძიებები.

დედამიწის დღე 1970 წელს დააფუძნა შეერთებული შტატების სენატორმა გეილორდ ნელსონმა გარემოზე სამსჯელოდ. 22 აპრილს - დედამიწის დღეს, საერთაშორისო სახე მიეცა და დღესდღეობით დედამიწის დღის ქსელის მიერ მსოფლიო მასშტაბითაა კორდინირებული. ის ყოველწლიურად აღინიშნება 193-ზე მეტ ქვეყანაში და ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი კამპანიაა, რომელიც საკუთარი საცხოვრებელი გარემოს დაცვის მიზნით აერთიანებს მსოფლიო საზოგადოებას.

2016 წელს დედამიწის დღეზე ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის და სხვა 120 ქვეყნის მიერ ხელი მოეწერა ისტორიული მნიშვნელობის მქონე **„პარიზის შეთანხმებას“,** რის შედეგადაც უნდა ამოქმედდეს **კლიმატის დაცვის შეთანხმება,** რომელიც 2015 წლის გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერცენციის მონაწილე 195 სახელმწიფომ დადო პარიზში.

2018 წლის დედამიწის დღე ეძღვნება პოლიეთილენის ერთჯერადი მასალის გამოყენების შემცირებას, ინფორმაციის მიწოდებასა და მსოფლიო საზოგადოების მოტივირებას იმისკენ, რომ შეჩერდეს პოლიეთილენის ნარჩენებით დაბინძურება. 2018 წლის დედამიწის დღის დევიზია: **„პლასიტიკის ერის დასასრული“** .

საქართველოში დედამიწის დღე პირველად „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ ინიციატივით 1990 წელს აღინიშნა. მას შემდეგ, ყოველწლიურად, ამ ღონისძიებას უერთდება მრავალი ორგანიზაცია და მოხალისე, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის გარემოსდაცვით საქმიანობას.

.

2010 წლიდან კი მთელი ქვეყნის მასშტაბით „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ რეგიონალური კოორდინატორების ორანიზებითა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო - დავასუფთაოთ მსოფლიო“-ს ფარგლებში ტარდება მასშტაბური დასუფთავების აქციები.

კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“ მიმდინარეობს პროექტის - „დავასუფთაოთ საქართველო-ფაზა III“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელდებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი (,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ და „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“). პროექტი ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან თანამშრომლობით.

2018 წლის 20 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამართა ბრიფინგი 22 აპრილს საქართველოში დაგეგმილი დედამიწის დღისადმი მიძღვნილი აქტივობების შესახებ. ბრიფინგის მსვლელობაში მონაწილეობა მიიღეს პროექტის - „დავასუფთაოთ საქართველო-ფაზა III“ განმახორციელებელი კონსორციუმის წარმომადგენლებმა.

2018 წელს დედამიწის დღის აღსანიშნავად, თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა დასუფთავების აქციები. აქციებს კოორდინაცია და ორგანიზება გაუწიეს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ ადგილობრივმა კოორდინატორებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

დედამიწის დღისადმი დაგეგმილი დასუფთავების აქციები რეგიონებში გაგრძელდა 22 აპრილიდან მთელი კვირის განმავლობაში დევიზით: **დავასუფთაოთ საქართველო! ჩვენი ქვეყანა - ჩვენი პასუხისმგებლობაა!** ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“ მადლობას უხდის ყველა აქციის ყველა მონაწილეს.

ქ. თბილისი

თბილისში დასუფთავების აქცია ჩატარდა 22 აპრილს, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. დასუფთავდა ახალი იპოდრომისა და სოფელ ლისის საავტომობილო გზის მონაკვეთები (დაახლოებით 0,5 ჰა), ასევე სოფელ თხილვანას ტერიტორია (დაახლოებით 1 ჰა).

„დედამიწის დღისადმი“ მიძღვნილ დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის მერის მოადგილემ, ქ-ნმა მაია ბითაძემ, თბილსერვის ჯგუფის ხელმძღვანელმა ბ-ნმა ლევან ჯღარკავამ, წყლის გოლობალური პარტნიორობა საქართველოს წარმომადგენლებმა, მოხალისეებმა და სტუდენტებმა, ასევე პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო ფაზა III“ განმახორციელებელი კონსორციუმის წევრებმა და თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა. დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 70-მდე მოხალისემ. აქციის ფარგლებში შეგროვდა 5 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი, რომელიც თბილსერვის ჯგუფის მიერ გატანილი იქნა ნაგავსაყრელზე.

22 აპრილი

თბილისში დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტელევიზიით გაშუქდა.

დასუფთავების აქცია თბილისში

გურიის მხარე

დედამიწის დღე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში

2018 წლის 23 აპრილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა აქცია "დავასუფთაოთ საქართველო - დავასუფთაოთ მსოფლიო“, მასში მონაწილეობდნენ გამგეობის, საკრებულოს და ა(ა)იპების წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეები და მოხალისეები. დასუფთავდა ქალაქის ტერიტორია, ადმინისტრაციული შენობების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიები და სკვერები.

სულ აქციაში მონაწილეობდა 490 ადამიანი, დასუფთავდა 12,5 ჰა ფართობი, შეგროვდა 8,7კბ.მ ნაგავი.

დედამიწის დღე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

2018 წლის 23 აპრილს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა აქცია "დავასუფთაოთ საქართველო - დავასუფთაოთ მსოფლიო“, რომელშიც მონაწილეობდნენ გამგეობის, საკრებულოს და ა(ა)იპების წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეები და მოხალისეები. დასუფთავდა ქალაქის ტერიტორია, ადმინისტრაციული შენობების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიები და სკვერები.

სულ აქციაში მონაწილეობდა 500 ადამიანი, დასუფთავდა 17,0 ჰა ფართობი, შეგროვდა 12,5კბ.მ ნაგავი.


Khobi
Senaki
Mukhurcha
Khoni
Tskaltubo
Abasha
Samtredia
Lanchkhuti
Zemo Chibati
Vazisubani
Zeda Etseri
Tobanieri
Patara Opeti
Vani
Salkhino
Sameba
Tsipnari
Guria
Ozurgeti
Dvabzu
Zoti

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე

ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და მესტიის მუნიციპალიტეტებში 2018 წლის 22 აპრილის დასუფთავების აქციის მონაცემები:

ქ. ზუგდიდი - დასუფთავდა 1,6 ჰა ფართობი. აქციაში მონაწილეობდა 3000 ადამიანი. შეგროვდა 19$მ^3$ ნარჩენი.

წალენჯიხა - დასუფთავდა 4 ჰა ფართობი. აქციაში მონაწილეობდა 300 ადამიანი. შეგროვდა 12 $მ^3$ ნარჩენი.

ჩხოროწყუ - დასუფთავდა 5 ჰა ფართობი. აქციაში მონაწილეობდა 300 ადამიანი. შეგროვდა 15$მ^3$ ნარჩენი.

მესტია - დასუფთავდა 5 ჰა ფართობი. აქციაში მონაწილეობდა 100 ადამიანი. შეგროვდა 5$მ^3$ ნარჩენი.

დედამიწის დღე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

დედამიწის დღე ხობის მუნიციპალიტეტში

დედამიწის დღე აბაშის მუნიციპალიტეტში

22 აპრილს აბაშის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აბაშის მერიის, საკრებულოს, საჯარო სკოლების, წარმოება-დაწესებულებების თანამშრომლებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ. დაახლოებით 650-მა მოხალისემ.

დასუფთავდა ქალაქის ცენტრი, პარკები, სკვერები, ბაზრისა და რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიები, სკოლების ეზოები, სოფლების ცენტრები - დაახლოებით 18 ჰა ფართობის ტერიტორია. შეგროვდა 16 მ3 მოცულობის ნარჩენი, რომელიც გატანილი იქნა ცენტრალურ (სამტრედიის) ნაგავსაყრელზე.

იმერეთის მხარე

დედამიწის დღე ზესტაფონის მუნიციპალიტეტში

22 აპრილს დედამიწის დღისადმი მიძღვნილი აქციის დროს დასუფთავდა კვალითის დასახლებაში მდებარე შათირიშვილის ქუჩა და მიმდებარე ტერიტორიები, სულ 2 ჰექტარი ფართობი, აქციაში მონაწილეობდნენ გამგეობის და ბაგა-ბაღების თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობა, სულ 200 მოხალისე. შეგროვდა 7 კუბური მეტრი ნარჩენი.

დედამიწის დღე ქ. წყალტუბოში

2018 წლის 19 აპრილს პროექტ „დავასუფთავოთ საქართველოს“ ფარგლებში დედამიწის დღესთან დაკავშირებით ქ. წყალტუბოს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე ჩატარდა დასუფთავების აქცია. სულ დასუფთავებულ იქნა 18 ჰექტრამდე ტერიტორია და გატანილი იქნა 13,8 კუბური მეტრი საყოფაცხოვრებო ნაგავი. დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღო 321-მა ადამიანმა.

შიდა ქართლის მხარე

დედამიწის დღე გორის მუნიციპალიტეტში

22 აპრილს გორის მუნიციპალიტეტში ჩატარდა მასშტაბური დასუფთავების აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500-მდე ადამიანმა. აქციაში ორგანიზატორების გარდა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და გორის მერიის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებმა. ქალაქში დასუფთავდა 4 წინასწარ შერჩეული ტერიტორია, გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში კი 15-მდე ადგილი. დასუფთავდა 55 000 კვ.მ. ტერიტორია, შეგროვდა 8 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი.

გარდა დასუფთავების აქციისა, 22 აპრილს გორის მუნიციპალიტეტში მოეწყო გამწვანების აქცია, ასფალტზე ხატვის კონკურსი სახელწოდებით ,,დედამიწა - ჩვენი საერთო სახლი" და დოკუმენტური ფილმის "დედამიწის" ჩვენება.

დედამიწის დღე ხაშურის მუნიციპალიტეტში

22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ხაშურში დასუფთავდა მდ. მტკვრის და მდ. სურამულას შესართავის მიმდებარე ტერიტორია სოფ. ხცისთან. აგრეთვე ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია - სულ 10000კვ.მ. ფართობი. შეგროვდა 5 - 5.5მ³ ნარჩენი, რომელიც გატანილია ხაშურის ნაგავსაყრელზე. აქციაში მონაწილეობდა 55 მოხალისე.

მცხეთა-მთიანეთის მხარე

დედამიწის დღე ქ.მცხეთაში

2018 წლის 21-22 აპრილის - დედამიწის დღისადმი მიძღვნილი დასუფთავების აქციები მცხეთის მუნიციპალიტეტში, ჩატარდა მცხეთის მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში. სულ მონაწილეობა მიიღო 40 თანამშრომელმა. დასუფთავდა დაახლოებით 1 ჰა მიწის ფართობი. შეგროვდა დაახლოებით 5მ³ ნარჩენი. გამწვანდა ბაგა-ბაღების ნაკვეთები.

ქვემო ქართლის მხარე

დედამიწის დღე ბოლნისის მუნიციპალიტეტში

23 აპრილს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქცია. დასუფთავდა სოფ. ჭაპალას ჭალის ტერიტორია და 3 კმ-იანი მონაკვეთი სოფ. მამხუტის გზაზე. ასევე ფარიზის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია. აქციაში მონაწილეობა მიიღეს ფარიზის საჯარო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს "კომუნალური მეურნეობის" თანამშრომლებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ.

სულ დასუფთავდა 1 ჰა ფართობის ტერიტორია, შეგრობდა 7^{მ3} მოცულობის ნარჩენი, მონაწილეობა მიიღო 60-მა მოხალისემ.

დედამიწის დღე მარნეულის მუნიციპალიტეტში

24 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი აქტივობები განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მერიის თანამშრომლებმა და ხელმძღვანელებმა. დასუფთავდა მუნიციპალიტეტის შემოსასვლელთან არსებული მწვანე ზოლი, გზის მარცხენა მხარეს, სოფელ ოფრეთში მდებარე ნათლისღებისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, სადაც დაირგო ცაცხვის ხეები. დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღო 80 მდე მოხალისემ, დასუფთავდა დაახლოებით 1 ჰა ფართობი, შეგროვდა დაახლოებით 4 m^3 მოცულეობის ნარჩენი.

დედამიწის დღე დმანისის მუნიციპალიტეტში

22 აპრილს დმანისის მუნიპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქცია.

აქციის ფარგლებში დასუფთავდა დმანისის ცენტრალური უბნები და მისი მიმდებარე ტერიტორიები. აქციაში მონაწილეობა მიიღო დაახლობით 70-მა მოხალისემ, დასუფთავდა 3 ჰა ფართობი, შეგროვდა 7 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი.



დედამიწის დღე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

22 აპრილს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქცია. აქციაში მონაწილეობდნენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის, თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის, მწვანე ბილიკის, თეთრიწყაროს კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები სულ 45 მოხალისე. დასუფთავდა ე. წ. "დათვების ტყე", სადაც განთავსდა 3 საინფორმაციო დაფა წარწერით „ერთად ვიზრუნოთ გარემოზე“. აქციის მონაწილეების მიერ დასუფთავდა 3 ჰა ფართობის ტერიტორია, შეგროვდა 3 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი.

დედამიწის დღე წალკის მუნიციპალიტეტში

24 აპრილს წალკის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქცია. დასუფთავდა სოფელ ავრანლოში მდ. ქციის ორივე სანაპირო, დაახლოებით 1 კმ. სიგრძის ტერიტორია, აქციაში მონაწილეობა მიიღო 50-მდე მოხალისემ, შეგროვდა 3 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი.

დედამიწის დღე ქალაქ რუსთავში

22 აპრილი, დედამიწის დღე ქ. რუსთავში მასშტაბური დასუფთავების აქციით აღნიშნა.
დასუფთავდა და ნარჩენებისგან, მათ შორის, სამშენებლო ნარჩენებისგან გაიწმინდა ქალაქის სხვადასხვა ადგილი, სკვერები, ცენტარული უბნები, 6-7 მკრ რაიონის დასახლებები - სულ დაახლოებით 5 ჰა ფართობი. აქციაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ქალაქის მერი, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობა - სულ 600-მდე მოხალისე. შეგროვდა 400 m^3 მოცულობის ნარჩენი.



სამცხე-ჯავახეთის მხარე

დედამიწის დღე ბორჯომის მუნიციპალიტეტში

დედამიწის დღე ასპინძის მუნიციპალიტეტში

22 აპრილს ასპინძის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავებისა და გამწვანების აქციები. დასუფთავდა ქალაქ ასპინძის ცენტრალური უბნები, სოფლების, ოშორაშის და ძველის ცენტრები, სოფელ დამალაში „კოხტას ციხესთან“ მისასვლელი გზა. დაახლოებით 3 ჰა ფართობის ტერიტორია. შეგროვდა 15 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი. აქციაში მონაწილეობა მიიღო 60-მდე მოხალისემ, დაირგო 200-მდე ძირი ნერგისხვასახვა ადგილას.

კახეთის მხარე

დედამიწის დღე სიღნაღის მუნიციპალიტეტში

25 აპრილს დედამიწის დღის აღსანიშნავად სიღნაღის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქცია.

დასუფთავდა სოფლებში არსებული დაბინძურებული ტერიტორიები. აქციაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგელებმა და მოსახლეობამ - სულ 120-მდე ადამიანმა. დასუფთავდა 4 ჰა ფართობის ტერიტორია, შეგროვდა 8 $მ^3$ მოცულობის ნარჩენი.

დედამიწის დღე გურჯაანის მუნიციპალიტეტში

22 აპრილს გურჯაანის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქცია.

დასუფთავდა დიდების მემორიალი და სოფლებში არსებული დაბინძურებული ტერიტორიები. აქციაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის წარმომადგელებმა - სულ 140-მდე მოხალისემ. დასუფთავდა 7 ჰა ფართობის ტერიტორია, შეგროვდა 12$მ^3$ მოცულობის ნარჩენი.

დედამიწის დღე ყვარლის მუნიციპალიტეტში

22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით ყვარელის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დასუფთავების აქცია.
დასუფთავდა ქ. ყვარლის ცენტრალური უბნები და ნეკრესთან მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორიები, დაახლეობით 5 ჰა ფართობი. აქციის მონაწლეების მიერ შეგროვდა 15 $მ^3$ ნარჩენი. აქციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 115-მა მოხალისემ.

დედამიწის დღე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

გამოცემაზე მუშაობდა: მარიკა ფიროსმანაშვილი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge, www.cleanup.ge